თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3837165

ნომერი: AR1576739

თარიღი : 12.02.2018

გაცემის თარიღი : 26.02.2018

გაცნობის თარიღი : 26.02.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ილია ჭავჭავაძე , N 31 ; ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ხუციშვილი პ/ნ 01030026682
- ი.ჭავჭავაძის I ჩიხი 4, ბინა 26.

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1576739 ელექტრონული განაცადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, #01.14.14.012.043 საკადასტრო ერთეულზე მშენებლობის ნებართვის გაცემას, აგრეთვე ითხოვთ ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მომართვის შემთხვევაში წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, #01.14.14.012.043 საკდასტრო ერთეულზე სამსახურის მიერ გაცემულია შემდეგი სახის აქტები:

2016 წლის 21 დეკემბრის #3003352 ბრძანებით ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. #31-ში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.14.14.012.043) შეთანხმდა #1/3; #2/1 და 3/1 შენობა-ნაგებობების დემონტაჟის პროექტი. გაიცა მშენებლობის (დემონთაჟის) ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

2017 წლის 13 აპრილის #3200559 ბრძანებით ცვლილება შევიდა სამსახურის 2016 წლის 21 დეკემბრის #3003352 ბრძანებაში და მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „დემონტაჟის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 13 აგვისტოს ჩათვლით“. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნა სამსახურის 2016 წლის 21 დეკემბრის #3003352 ბრძანებასთან ერთად.

2017 წლის 02 სექტემბრის #AR1536551 ელექტრონული განაცხადით სამსახურს მომართა მოქალაქე გიორგი გიორგაძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, #01.14.14.012.043 საკადასტრო ერთეულზე ფუნქციური ზონის ცვლილება. საკითხი ფუნქციური ზონის – სპეციალური ზონა 1-ის,საცხოვრებელი ზონა 5-ის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით ცვლილებასთან დაკავშირებით, განსახილველად წარდგენილი იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე და 2017 წლის 10 ოქტომბრის N19–68 დადგენილების საფუძველზე “დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შეახებ” ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20–105 დადგენილებაში შეტანილი იქნა შესაბამისი ცვლილება.

2017 წლის 30 ნოემბრის #3696697 ბრძანებით ქ. თბილისში, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური კომპლესი/შენობის განთავსების მიზნით დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ამასთან გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, (თქვენს მიერ რუკაზე მონიშნულ ტერიტორიაზე) ამ ეტაპზე სამსახურში ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

დამატებით გაცნობებთ, რომ აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდების მითითების შემთხვევაში.